



პრესრელიზი

24 თებერვალი 2010

ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდება მრგვალი მაგიდა "ნდობა-უნდობლობა ქართული მედიის მიმართ"

თბილისი. ქართული მედიისადმი საზოგადოების ნდობის საკითხებს მიეძღვნება მრგვალი მაგიდა "ნდობა-უნდობლობა ქართული მედიის მიმართ", რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის როლის გაძლიერება" ფარგლებში იმართება.

მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავს შეიმუშაოს რეკომენდაციები როგორც მედია საშუალებებისათვის, ასევე შესაბამისი უწყებებისათვის, რათა გაიზარდოს მოსახლეობის ნდობის ხარისხი ქართული მედიის მიმართ. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალისტები, ჟურნალისტიკის სკოლების პროფესორ-მასწავლებლები, მედიის მკვლევრები და მედია პროექტების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები. განსახილველად წარმოდგენილი იქნება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც წარმოადგენენ ქართული მედიაში არსებულ მდგომარეობას და ასახავენ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ქართული მედიის მიმართ. მრგვალ მაგიდაზე მოხსენებით გამოვლენ ჟურნალისტი ზვიად ქორიძე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი ანა ქემელაშვილი, ჟურნალ "ლიბერალის" გამომცემელი და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი შორენა შავერდაშვილი.

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია.

მრგვალი მაგიდა გაიმართება 2010 წლის 24 თებერვალს 16:00-18:00 შერატონ მეტეხი პალასში, დარბაზი 'სალხინო'.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით თამარ ზურაბიშვილს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მედია და ინოვაციური პროგრამების მენეჯერს, შემდეგ ელ.ფოსტაზე: tzurabishvili@epfound.ge



პროექტს ახორციელებს
**„ევრაზიის
თანამშრომლობის ფონდი“**
კავსადის #3, 0179 თბილისი,
საქართველო

ტელ: (+995 32) 25 27 78/82
ფაქსი: (+995 32) 25 39 42/43
ელ-ფოსტა: info@epfound.ge
ვებ-გვერდი:
<http://www.epfound.ge>

პროექტი ხორციელდება
**ევროკავშირის ფინანსური
მხარდაჭერით**
ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38,
0102 თბილისი,
საქართველო
ტელ: (+995 32) 94 37 63
ფაქსი: (+995 32) 94 37 68
www.delgeo.ec.europa.eu

ევროკომისია ევროკავშირის ადმინისტრაციული ორგანოა
"ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი გაერთიანება.
მისი წევრები წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნას და
გამოცდილებას უზიარებდნენ. ახდენდნენ რესურსების მობილიზებას
და საერთო მომავალს ქმნიდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის
წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს სტაბილურობის,
დემოკრატიის და მდგრადი განვითარების არეალი. ამ პროცესში
მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და
ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ
მიღწევების და ფასულობების გაზიარებაა მის საზღვრებს გარეთ მყოფი
ადამიანებისა და სახელმწიფოებისთვის."